

წინამდებარე „განვადების ლიმიტით სარგებლობის ძირითადი პირობები“ წარმოადგენს ბანკს და კლიენტს შორის გაფორმებული „განვადების ლიმიტით სარგებლობის შესახებ“ ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს.

1. ტერმინთა განმარტება

- 1.1. **საბარათე ანგარიში** - ბანკში გახსნილი კლიენტის ანგარიში, რომელზეც დაიშვება საკრედიტო ლიმიტი [შემდგომ „საკრედიტო ლიმიტი“] და აისახება ბანკის მიერ გაცემული საერთაშორისო საბანკო ბარათით [შემდგომ "ბარათი"] შესრულებული ოპერაციები.
- 1.2. **ათვისებული საკრედიტო ლიმიტი** - დაშვებული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში კონკრეტული პროდუქციის/მომსახურების შესაძენად გახარჯული თანხა ანუ კლიენტის მიერ სავაჭრო ობიექტისთვის გადახდილი თანხები. ყოველი გახარჯვა გულისხმობს კონკრეტული, დამოუკიდებელი ლიმიტის ათვისებას.
- 1.3. **საპროცენტო სარგებელი** - ათვისებული საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისთვის დარიცხული საპროცენტო განაკვეთი, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებით და რომლის თანხობრივი ოდენობა არის უცვლელი, ანგარიშდება ათვისებული ლიმიტის საერთო ოდენობიდან და გარემოება, რომ საპროცენტო სარგებელთან ერთად პერიოდულად [ყოველთვიურად] იფარება ათვისებული საკრედიტო ლიმიტის ნაწილიც, გავლენას არ ახდენს საპროცენტო სარგებლის ყოველთვიურ თანხობრივ ოდენობაზე.
- 1.4. **ყოველთვიური გადასახადი** - კლიენტის მიერ ათვისებული საკრედიტო ლიმიტის და მასზე დარიცხული პროცენტის ჯამის 1/12 ნაწილი ყოველთვიურად. ამასთან, თუ რამდენჯერმე არის ათვისებული საკრედიტო ლიმიტი, ყოველთვიური გადასახადი დაითვლება თითოეული მათგანის ჭრილში და მათი ჯამი გადასახდელი იქნება გადახდის დღეს.
- 1.5. **ვადაგადაცილება** - გარემოება, როცა ყოველთვიური გადასახადი გადახდილი არ იქნება გადახდის დღის 22 საათამდე.
- 1.6. **ვადაგადაცილებული დავალიანება** - კლიენტის დავალიანება ბანკის წინაშე, რომელიც არ არის დაფარული წინამდებარე პირობით გათვალისწინებული წესით და ვადებში.
- 1.7. **ბარათის ბლოკირება** - კლიენტის მიერ წინამდებარე პირობების დარღვევისათვის საბარათე ანგარიშზე ნებისმიერი სახის ოპერაციის წარმოების დროებით შეჩერება [ბარათი თავსდება ლოკალურ სტოპ-სიაში, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, ბანკის შეხედულებისამებრ - საერთაშორისო სტოპ-სიაში].

2. მხარეთა უფლება - მოვალეობები

- 2.1. დავალიანების დაფარვისას პირველ რიგში იფარება დარიცხული პირგასამტეხლო [ასეთის არსებობის შემთხვევაში], შემდეგ საპროცენტო სარგებელი და ბოლოს ათვისებული საკრედიტო ლიმიტი. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს ბანკის შეხედულებისამებრ.
- 2.2. დავალიანების დაფარვასთან დაკავშირებით მხარეები თანხმდებიან:
 - 2.2.1. თუ გადახდის თარიღისათვის თუ კლიენტის მიმდინარე ან საბარათე ანგარიშზე [არ იგულისხმება ის საბარათე ანგარიში რომელზედაც დაშვებულია საკრედიტო ლიმიტი, აღნიშნულ საბარათე ანგარიშზე თანხის შეტანა არა ხდება], არ არის ყოველთვიური გადასახადის დასაფარად საკმარისი სახსრები, ბანკი უფლებამოსილია [და არა ვალდებული], რომ გადახდის დღეს, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, კლიენტის მიერ ბანკში გახსნილი ნებისმიერი ანგარიშებიდან [მათ შორის სადეპოზიტო] ჩამოჭრას წინამდებარე პირობების შესაბამისად წარმოქმნილი ნებისმიერი სახის დავალიანება 2.1 პუნქტით განსაზღვრული რიგითობით. თუ დავალიანების თანხა და ანგარიშებზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი თავად განაზოცილებს

კონვერტაციას ჩამოჭრის დღისთვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით, კონვერტაციის საკომისიო ეკისრება კლიენტს.

- 2.2.2. ბანკი უფლებამოსილია და არა ვალდებული, რომ კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, კლიენტის ვადაგადაცილებული დავალიანება ჩამოჭრას კლიენტის მიერ ბანკში გახსნილი ნებისმიერი ანგარიშებიდან [მათ შორის სადეპოზიტო], 2.1 პუნქტით განსაზღვრული რიგითობით. თუ დავალიანების თანხა და ანგარიშებზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი თავად განახორციელებს კონვერტაციას ჩამოჭრის დღისთვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსით, კონვერტაციის საკომისიო ეკისრება კლიენტს.
- 2.2.3. დავალიანების დასაფარად არ შეიძლება იყოს გამოყენებული შესაბამის ანგარიშზე არსებული ის სახსრები, რომლებიც თავად წარმოადგენენ რაიმე სახის საკრედიტო ლიმიტს. აღნიშნული პირობა არ ზღუდავს ბანკის უფლებას, რომ კლიენტის დავალიანების დასაფარად გამოიყენოს კლიენტის სხვა ანგარიშზე არსებული ხელმისაწვდომი თანხები.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. ბანკი უფლებამოსილია:

- 3.1.1. ცალმხრივად შეაჩეროს/გააუქმოს საკრედიტო ლიმიტი და კლიენტისაგან დაუყოვნებლივ მოითხოვოს ათვისებული ლიმიტის დაბრუნება მასზე დარიცხულ პროცენტთან და პირგასამტეხლოსთან ერთად, თუ:
- 3.1.1.1. ყოველთვიური გადასახადი კლიენტის მიერ სრულად არ იქნა დაფარული გადახდის თარიღიდან 45-ე დღის განმავლობაში.
 - 3.1.1.2. კლიენტი დაარღვევს ხელშეკრულების პირობებს.
 - 3.1.1.3. გაუარესდება კლიენტის ფინანსური მდგომარეობა ან ბანკს მიაჩნია, რომ შეიქმნება ამგვარი გარემოების დადგომის საფრთხე.
 - 3.1.1.4. კლიენტის მოქმედება მიმართულია ბანკის მოტყუებისკენ.
 - 3.1.1.5. კლიენტი არ მოახდენს საკრედიტო ლიმიტის უზრუნველყოფას ბანკის შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში.
- 3.1.2. კლიენტის განცხადების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება საკრედიტო ლიმიტის გაზრდის ან შემცირების შესახებ.
- 3.1.3. კლიენტის საბარათე ანგარიშზე ვადაგადაცილებული დავალიანების არსებობის შემთხვევაში მოითხოვოს კლიენტის ნებისმიერი აქტივის რეალიზაცია.
- 3.1.4. მოსთხოვოს კლიენტს საკრედიტო ლიმიტის უზრუნველყოფა იპოთეკის, გირაოს ან თავდებობის სახით.
- 3.1.5. გააუქმოს საკრედიტო ლიმიტი, თუ კლიენტმა 6 თვის განმავლობაში არ ისარგებლა დაშვებული საკრედიტო ლიმიტით.
- 3.1.6. ვადაგადაცილებისას განახორციელოს ბარათის ბლოკირება.
- 3.1.7. უარი განაცხადოს საკრედიტო ლიმიტის გაზრდის შესახებ კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ან დააკმაყოფილოს მოთხოვნილზე ნაკლები ოდენობით.
- 3.1.8. ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება საკრედიტო ლიმიტის გაზრდის შესახებ და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესით აცნობოს კლიენტს. კლიენტის მიერ გაზრდილი საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის შემდეგ ჩაითვლება, რომ კლიენტი ეთანხმება ბანკის მიერ საკრედიტო ლიმიტის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებას.
- 3.1.9. ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება საკრედიტო ლიმიტის შემცირების შესახებ და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესით აცნობოს კლიენტს. შეტყობინების შემდეგ ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ანგარიშზე არსებული სახსრები მიმართოს საკრედიტო ლიმიტის

შესამცირებლად.

- 3.1.10. შეზღუდოს იმ სავაჭრო ობიექტების სია, სადაც განთავსებულ პოს-ტერმინალებში შეიძლება ლიმიტის გახარჯვა და ამის შესახებ ინფორმაცია განთავსოს ბანკის ვებ გვერდზე vtb.ge.
- 3.2. კლიენტისათვის პირგასამტეხლოს/საკომისიოს დაკისრება/გადახდევინება წარმოადგენს ბანკის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას. შესაბამისად, ბანკი უფლებამოსილია არ მიიღოს გადაწყვეტილება კლიენტისათვის პირგასამტეხლოს/საკომისიოს სრულად ან ნაწილობრივ დაკისრების შესახებ.
- 3.3. კლიენტი უფლებამოსილია:
- 3.4. მიმართოს ბანკს თხოვნით საკრედიტო ლიმიტის გაზრდის ან შემცირების შესახებ.
- 3.5. კლიენტი ვალდებულია:
 - 3.5.1. საკრედიტო ლიმიტის მოქმედების ვადის განმავლობაში განახორციელოს ყოველთვიური სავალდებულო ყოველთვიური გადასახადის გადახდა.
 - 3.5.2. კლიენტის მიერ ბანკში გახსნილ ანგარიშებზე განხორციელებული ნებისმიერი ჩარიცხვიდან პირველ რიგში დაფაროს ბანკის მიმართ არსებული დავალიანება.
- 3.6. ბანკი ვალდებულია კლიენტს მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით აცნობოს ყოველთვიური გადასახადის ოდენობა.
- 3.7. ბანკს ენიჭება უფლებამოსილება კლიენტის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერ[ებ]ზე, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ისე შემდგომ, გააგზავნოს ბანკის სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები ყოველგვარი შინაარსობრივი შეზღუდვის გარეშე. შეტყობინება შეიძლება გაგზავნილი იქნას როგორც ბანკის, ისე ბანკის მიერ შერჩეული მომსახურე კომპანიის მიერ.

4. დასკვნითი დებულებები

- 4.1. ბანკს უფლება აქვს შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი გადასცეს კლიენტს ან გაუგზავნოს შეტყობინება/დოკუმენტი [კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით] კლიენტის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე ან კლიენტის იმ მისამართზე, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირების რეესტრში/მითითებულია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს ხელშეკრულებაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს კლიენტის იმ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირების რეესტრში. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ნებისმიერი ამ პუნქტში დათქმული ფორმით ჩაითვლება კლიენტისათვის შეტყობინების ჩაბარებად. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ბანკის სახელით ბანკის თანამშრომლის მიერ ტელეფონის ნომრიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით ან ელექტრონული ფოსტით ზემოაღნიშნულ რეკვიზიტებზე ჩაითვლება კლიენტისათვის შეტყობინების ჩაბარებად.
- 4.2. შეტყობინება კლიენტის მიერ მიღებულიად/ჩაბარებულიად ითვლება:
 - 4.2.1. პირადად მიწოდების შემთხვევაში - შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის კლიენტისათვის ჩაბარების დღეს.
 - 4.2.2. კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის გაგზავნის

შემთხვევაში - კურიერის/საფოსტო ორგანიზაციისთვის ჩაბარების დღიდან მე-5 კალენდარულ დღეს, ან კლიენტისათვის ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.

- 4.2.3. ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - კლიენტის ელექტრონული ფოსტის სერვერიდან [მისამართიდან] ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინების მიღების შესახებ დასტურის მიღების დღეს ან გაგზავნიდან მომდევნო დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.
- 4.2.4. ნებისმიერი სხვა საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის თარიღიდან მეორე დღეს.
- 4.2.5. ბანკის შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი კლიენტზე მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ბანკს შეტყობინება დაუბრუნდა გაგზავნილ მისამართზე კლიენტის ადგილსამყოფელის/საცხოვრებელი ადგილის არ არსებობის გამო ან კლიენტი უარს განაცხადებს შეტყობინების ან დოკუმენტის მიღებაზე/ ჩაბარებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას ან ბანკი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღებს კლიენტის ელექტრონული ფოსტის მისამართის გაუქმების ან არ არსებობის შესახებ შეტყობინებას. თუ მოხდა შესაბამის განაცხადში მითითებული კლიენტის რომელიმე რეკვიზიტის/საკონტაქტო მონაცემის შეცვლა და ამის შესახებ წერილობით არ ეცნობება ბანკს, შეტყობინება/დოკუმენტი კლიენტის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება მითითებულ რეკვიზიტზე/საკონტაქტო მონაცემზე გაგზავნის შემთხვევაშიც. ბანკი არ არის ვალდებული წერილობით შეატყობინოს კლიენტს მისამართის შეცვლის ფაქტი, რადგან კლიენტისათვის ცნობილია, რომ სს “ვითიბი ბანკ ჯორჯიას” სათავო დაწესებულებისა და მისი ფილიალების/სერვისცენტრების მისამართები.